ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 7

ქ. ლანჩხუთი

22.05.2026 წელი
12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის თავმჯდომარე ზაზა წულაძე.
კომისიის წევრები: მაია ლომთაძე, გიორგი იმნაიშვილი, კარლო კვიტაიშვილი, ვლადიმერ ნანაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: გოგი მორჩილაძე, ჯუმბერ ბლაგიძე, სამსონ კვაჭაძე, თორნიკე მითაიშვილი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ გააკეთა განმარტება, რომ დღის წესრიგში შევიდა ცვლილება და მესამე საკითხი კერძოდ; „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურის, რეგულირების წესისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^4 პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი საჭიროებს საფუძვლიან შესწავლას, ამიტომ კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული საკითხი ამოღებული იქნას წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტიდან, შემდგომში დეტალურად განხილვის მიზნით, რასაც კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირა.

კომისიის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი: /ზაზა წულაძე /
/ვარდენ კვაჭაძე/

2.„საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების

შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი: /ზაზა წულაძე /
/ვარდენ კვაჭაძე/

3.სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

მომხრე 5: წინააღმდეგი -არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა ვარდენ კვაჭაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლები და კატები) (შემდგომში – ცხოველები) მოვლა-პატრონობის და ყოლის წესი (შემდგომში – წესი) ადგენს ცხოველების ყოლის, მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის სამართლებრივ საფუძვლებს და განხორციელების წესს. წესი აგრეთვე ადგენს შინაური ბინადარი ცხოველებისათვის, როგორც ცოცხალი არსებებისათვის, მინიჭებულ ბუნებრივ უფლებებსა და მათი დაცვის მექანიზმებს, მეპატრონეთა და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების ვალდებულებებს. წესის მიღების მიზანია ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი ცხოველების მართვის სფეროში თანამედროვე, საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული და ჰუმანურ პრინციპებზე დაფუძნებული მეთოდების დანერგვა და განხორციელება, ადამიანის და შინაური ბინადარი ცხოველის უსაფრთხო და თანაარსებობაზე ორიენტირებული გარემოს უზრუნველყოფა, ასევე აღნიშნულ სფეროში შესაძლო საფრთხეებისა და რისკების იდენტიფიცირება და მათი პრევენცია/მართვა.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ მიმართა კომისიის წევრებს დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

დეპუტატი მაია ლომთაძე დაინტერესდა სახლის შინაურ ბინადარ ცხოველებთან დაკავშირებით, რაზეც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ** განმარტა, რომ 2027 წლის 1 იანვრამდე შინაური ბინადარი ცხოველების მეპატრონე ვალდებულია მიმართოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ა(ი)-იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს და მოახდინოს ცხოველების (კატა, ძაღლი) აღრიცხვა-იდენტიფიცირება. მისივე განმარტებით, მესაკუთრეს შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესების დარღვევისთვის განესაზღვრება პასუხისმგებლობა 500 ლარის ოდენობით.
დეპუტატი მაია ლომთაძე ასევე დაინტერესდა ერთ სულ შინაურ ბინადარ ცხოველზე გადასახადი რამდენ ლარს შეადგენდა, რაზეც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ** განმარტა, რომ რეგისტრაცია არის უფასო. მისი განმარტებით, ეს წესი უზრუნველყოფს შინაურის ცხოველების დროულ კონტროლს, მოვლა-პატრონობას, პოპულაციის მართვას და ანტირაბულ ვაქცინაციას.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა აუცილებლად უნდა იყოს ინფორმირებული შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესების შესახებ. მისი თქმით ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებს თავშესაფარი არ აქვს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ** განმარტა, რომ ამ წესის შესაბამისად განსაზღვრული მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო უპატრონო-მიკედლებული ცხოველების დროებით განთავსების, მოვლა-პატრონობის, პოპულაციის მართვისა და ანტირაბილური ვაქცინაციის უზრუნველსაყოფად დამოუკიდებლად ან სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთად ქმნის მუნიციპალურ თავშესაფარს, ან აღნიშნულ საქმიანობებს ახორციელებს თავის მიერ უფლებამოსილი პირის მეშვეობით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში შესაბამისმა ა(ი)-მა უნდა უზრუნველყოს შინაური ბინადარი ცხოველების თავშესაფარში გადაყვანა. ამ ეტაპზე კი ისინი სავარაუდოდ უახლოესი ლოკაციის თავშესაფრით ისარგებლებენ.

კომისიის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 5; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა ვარდენ კვაჭაძემ.
დეპუტატმა ლადო ნანაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს ნაგავსაყრელი არ გააჩნია. მოქალაქემ ჯარიმის თავიდან აცილების მიზნით, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური ახორციელებს, სად უნდა გადაყაროს სამშენებლო მასალების ნარჩენები, რაზეც მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ** განმარტა, რომ საჭიროების შემთხვევაში მოქალაქემ უნდა მიმართოს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს პრობლემის აღმოფხვრის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 5; წინააღმდეგი: არცერთი

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **/ ზაზა წულაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №7

22.05.2026 წელი
12:00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 22 მაისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი: /ზაზა წულაძე /
/ვარდენ კვაჭაძე/

2.,,საქართველოს კანონით ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით ,,ნარჩენების მართვის კოდექსი" და საქართველოს ორგანული კანონით ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწტების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

მომხსენებელი: /ზაზა წულაძე /
/ვარდენ კვაჭაძე/

3.სხვადასხვა.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე: 5, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი:,,საქართველოს კანონით ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით ,,ნარჩენების მართვის კოდექსი" და საქართველოს ორგანული კანონით ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი" გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე: 5, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **ზაზა წულაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

22.05. 2026 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი		ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	11 55	
2	გიორგი იმნაიშვილი	11 59	
3	ვლადიმერ ნანაძე	11 55	
4	მაია ლომთაძე	11 55	
5	სამსონ კვაჭაძე	არ ესწრებოდა	
6	გოგი მორჩილაძე	არ ესწრებოდა	
7	კარლო კვიტაიშვილი	11 55	
8	თორნიკე მითაიშვილი	არ ესწრებოდა	
9	ჯუმბერ ბლაგიძე	არ ესწრებოდა	